შრომის სამართლის ბიულეტენი

EUROPEAN TIME

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

დაგვისვით შეკითხვები
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com

შრომის სამართალი

აგვისტო, 2024

ასოციაცია „ევროპის დროით“ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით გთავაზობთ ყოველთვიურ შრომის ბიულეტენს

ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე

კითხვა-პასუხი:
რა არის გამოძახებით მუშაობა და ჩაითვლება თუ არა ის ზეგანაკვეთურში?

გამოძახებით მუშაობა (On-call, stand-by) საქართველოს კანონმდებლობით არ არის რეგულირებული. ამ ინსტიტუტს იცნობს ევროკავშირის სამართალი. ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების სამართლებრივი რეგულირების თანახმად, გამოძახებით მუშაობა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ისეთ ფორმას ან/და სამუშაო დროის ისეთ სახეს, როდესაც დასაქმებულს წარმოეშობა ვალდებულება, ჩვეულებრივი/ნორმირებული სამუშაო დროის ამოწურვის შემდეგ:

- დარჩეს სამსახურში და დაელოდოს დამსაქმებლის მხრიდან შეკვეთის მიღებას (on-call) ან
- დატოვოს სამსახურის ადგილი, თუმცა იმყოფებოდეს ახლოს, რათა მიიღოს დამსაქმებლის მხრიდან შეკვეთა (stand-by).

გამოძახებით მუშაობისას (ზემოაღწერილ ორ შემთხვევაში) დასაქმებული ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამსაქმებლისთვის.

გამოძახებით მუშაობა ნორმირებულს ზემოთ მუშაობაა, თუმცა ის განსხვავდება ზეგანაკვეთური სამუშაოს ბუზნებისგან. ზეგანაკვეთური საქმიანობა:

- შრომითი ხელშეკრულების მოწესრიგების საგანია/არსებითი პირობაა და ძირითადი შრომითი ურთიერთობების ფარგლებში წარმოშობილი საჭიროებაა;
- უშუალოდ დაკავშირებულია ნორმირებული სამუშაო დროის გაზრდასთან/გადაგრძელებასთან (სამუშაო დროის წყვეტის გარეშე);
- შედის ძირითადი საქმიანობის სამუშაო დროის აღრიცხვიანობის სქემაში.
- ზეგანაკვეთური მუშაობა ნებისმიერი შრომითი ურთიერთობის თანმდევი ასპექტია;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს წინასწარი განჭვრეტა და დაგეგმვა შესაძლებელია (მაგალითად, ზამთრის სეზონზე ბაკურიანის სასტუმრო უფრო მეტი დატვირთვის იმუშავებს...)

გამოძახებით მუშაობა წარმოადგენს დამატებით სამუშაოს ძირითადი სამუშაოს დასრულების შემდეგ (რომლიც არ არის სამუშაო დროის გადაგრძელება); ასევე, გამოძახებით მუშაობა ახასიათებს მხოლოდ გარკვეულ სამუშაოებს/ფუნქციებს/პროფესიებს. მაგალითად, მეხანძრემ დაასრულა მისი საქმიანობა, დატოვა სამუშაო ადგილი. ღამით გამოიძახეს სამსახურში ხანძრის ჩასაქრობად (წინასწარ განჭვრეტა იმისა, რომ ხანძარი გაჩნდებოდა და საჭირო გახდებოდა გამოძახება, შეუძლებელია). როგორც წესი, **იქ სადაც გამოიყენება გამოძახებით მუშაობა (მაგალითად ექიმის პროფესიაში სასწრაფო ქირურგიული ოპერაციების ჩასატარებლად) დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ცალკე იდება ხელშეკრულება გამოძახებით მუშაობის თაობაზე.** ევროკავშირის წევრი ქვეყნების შრომის სამართალში, ზეგანაკვეთური სამუშაო და გამოძახებით მუშაობა ცალ-ცალკე რეგულირდება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არა ერთი განმარტება გააკეთა და გადაწყვეტილება მიიღო გამოძახებით მუშაობასთან დაკავშირებით.

რამდენადაც, საქართველოში გამოძახებით მუშაობა კანონმდებლობით არ რეგულირდება, კერძოსამართლებრივ შრომით ურთიერთობებში დასაშვებია ორი პრაქტიკის განვითარება:

- ჩაითვალოს იგი ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და ანაზღაურდეს იმ არსებითი პირობის შესაბამისად, რაც შრომითი ხელშეკრულებით შეათანხმეს მხარეებმა;
- მხარეთა შორის დაიდოს ცალკე ხელშეკრულება სამუშაო დროის, ანაზღაურების, დასვენებისა და გამოძახების მიზნით დასაქმებულის მოცდის ადგილის სპეციფიკური რეგულირებით (იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ ის რაც კანონით არ არის აკრძალული, დასაშვებია).

წყარო: *ქარდავა ე., on-call და stand-by მუშაობისას სამუშაო დროის განმარტების თავისებურებანი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკაში, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ასოციაცია „ევროპის დროით“, 2019, გვ. 109-153.* https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16010.pdf

მოგვწერეთ, გვკითხეთ
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com
eka_kardava@yahoo.com